პროლეტარებო და ყველა ქვეყნის ხალხებო, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 94 (5195) | კვირა, 24 აპრილი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია:

სტალინური კონსტიტუცია მოქმედებაში („პრავდის“ მოწინავე).

ლ. ბერია — ქართველი ხალხი ლენინ-სტალინის დროშით ეგებება უმაღლესი საბჭოს არჩევნებს (1-ლი გვ.).

დადგენილებანი: სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის შესახებ და რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ (მე-2 გვ.).

26 ივნისს შესდგება უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. (მე-2 გვ.).

ნ. ხლევნევი — რა არის ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი, მხარე და ოლქი და რა განსხვავებაა მათ შორის (მე-2 გვ.).

პარტიული ცხოვრება: თბილისის დეპოს პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება; პარტიული მუშაობა არ იყოს ყურადღების ცენტრში (მე-3 გვ.).

უცხოეთში:
საომარი მოქმედება ჩინეთში (მე-4 გვ.).
ესპანეთის ფრონტებზე (მე-4 გვ.).

სტალინური კონსტიტუცია მოქმედებაში

26 აპრილს იწყება საარჩევნო კამპანია რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკაში, უკრაინის სს რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკაში. 1938 წლის 26 ივნისს ამ რესპუბლიკებში მოხდება რესპუბლიკური უმაღლესი საბჭოების არჩევნები. საარჩევნო კამპანია გაჩაღებულია საქართველოს სს რესპუბლიკასა და სომხეთის სს რესპუბლიკაში, სადაც რეპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები შესდგება 1938 წლის 12 ივნისს. არჩევნებისათვის ენერგიული მზადება მიმდინარეობს დაბარჩენ ჰოკავშირე რესპუბლიკებშიაც. ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ცხოვრებაში იწყება ღირსშესანიშნავი მოვლენა — ხორციელდება ერთერთი შესანიშნავი უფლება, განმტკიცებული სტალინური კონსტიტუციით, — მოკავშირე რესპუბლიკათა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევის უფლება.

საბჭოთა კავშირი დაფუძნებულია ხალხთა ლენინურ-სტალინურ მეგობრობაზე. იგი შესდგება თანასწორუფლებიანი, სისხლხორცეულად დაკავშირებული და ურყევად შედუღებული ძმური რესპუბლიკებისაგან, რომელნიც ნებაყოფლობით გაერთიანდნენ კავშირში. მოკავშირე რესპუბლიკის თვითეული მოქალაქე სსრ კავშირის მოქალაქეა. მოქალაქეთა წმინდათა-წმინდა უფლებები, ჩაწერილნი სსრ კავშირის კონსტიტუციაში, — შრომის უფლება, დასვენების უფლება, მოხუცებულობაში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება, განათლების უფლება, — ეს არის ყველა რესპუბლიკის ყველა მოქალაქის, ჩვენს სამშობლოში მოსახლე ყველა ხალხის უფლებები. ამასთან ერთად „თვითეულ მოკავშირე რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც ითვალისწინებს რესპუბლიკის თავისებურობებს და აგებულია ისე, რომ სავსებით შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას“. (სსრ კავშირის კონსტიტუციის მუხ. 16). თვითეული მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით და წარმოადგენს ერთადერთ საკანონმდებლო ორგანოს რესპუბლიკაში.

ტერიტორიის სიდიდითაც და მოსახლეობის რაოდენობითაც სსრ კავშირში შემავალი მოკავშირე რესპუბლიკები სხვადასხვაგვარი არიან და საკუთარი თავისებურებანი აქვთ. ამ თავისებურობებს ითვალისწინებენ რესპუბლიკათა კონსტიტუციები. მაგალითად, რუსეთის სფს რესპუბლიკაში, მისი კონსტიტუციის თანახმად, უმაღლეს საბჭოს ირჩევენ შემდეგი ნორმით: ერთი დეპუტატი 150 ათას მოსახლეზე. უკრაინის სს რესპუბლიკაში — ერთი დეპუტატი 100 ათას მოსახლეზე. ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — ერთი დეპუტატი 20.000 მოსახლეზე. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში — ერთი დეპუტატი 10 ათას მოსახლეზე. საქართველოს სს რესპუბლიკაში — ერთი დეპუტატი 15 ათას მოსახლეზე. სომხეთის სს რესპუბლიკაში — ერთი დეპუტატი 5 ათას მოსახლეზე. თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — ერთი დეპუტატი 5 ათას მოსახლეზე. უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — ერთი დეპუტატი 15 ათას მოსახლეზე. ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში — ერთი დეპუტატი 5 ათას მოსახლეზე. ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — ერთი დეპუტატი 20 ათას მოსახლეზე. ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში — ერთი დეპუტატი 5 ათას მოსახლეზე. ეს, ისევე როგორც მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციის ყველა სხვა დებულება, ყველა **ამომრჩეველმა** უნდა იცოდეს.

დღეს ქვეყნდება გადაწყვეტილებანი რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინის სს რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკაში საარჩევნო კამპანიის დაწყების შესახებ, რის შემდეგ დაიწყება საოლქო, ხოლო მერე საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნა. მალე დაიწყება მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება. საქართველოში უკვე დაიწყო დეპუტატობის კანდიდატთა წამოყენება. ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ირგვლივ დარაზმული საბჭოთა ხალხი გაითვალისწინებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბრწყინვალე გამოცდილებას: იგი თავის ღირსეულ შვილებს გაგზავნის რესპუბლიკათა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში. ჩვენი ხალხი თავის დროშებს დააწერს საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო ლოზუნგებს:

„მუშებო და გლეხებო! გაიმარჯვეთ საარჩევნო კამპანიაში! ერთად წამოაყენეთ მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში საუკეთესო ადამიანები, ლენინ-სტალინის საქმისადმი ბოლომდე ერთგული ადამიანები!“

„სსრ კავშირის მშრომელნო! მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში აირჩიეთ ჩვენი სამშობლოს მამაცი პატრიოტები, მუშათა და გლეხთა ბედნიერებისათვის, სოციალიზმისათვის შეუდრეკელი მებრძოლნი!“

პარტია მოგვიწოდებს ჩავატაროთ საარჩევნო კამპანია კომუნისტთა და უპარტიოთა მჭიდრო კავშირში, ბლოკში. პარტიის ძალა მდგომარეობს მის კავშირში მასებთან. ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ძალა და უძლეველობა მდგომარეობს მასებთან კავშირის მუდმივ განმტკიცებაში და მზადყოფნაში ყური დაუგდოს მასების ხმას. საპრველმაისო ლოზუნგებში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მოგვიწოდებს:

„კომუნისტებო! უფრო მტკიცე კავშირი უპარტიო მასებთან! საარჩევნო კამპანიაში მთავარია — არ გაეშვათ უპარტიოებს, არამედ იმოქმედოთ უპარტიოებთან ერთად და მათთან ერთად წამოაყენოთ კანდიდატები მოკავშირე და ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში!“

სწორედ კომუნისტების კავშირმა უპარტიოებთან, კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინურმა ბლოკმა უზრუნველჰყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ბრწყინვალე წარმატება. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნების დროს ჩვენ კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ კომუნისტების ბლოკი უპარტიოებთან — ეს მძლავრი, უძლეველი ძალა, სოციალიზმის შემდგომ გამარჯვებათა საფუძველი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღე ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის დღედ გადაიქცა. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დღეებიც სახალხო დღესასწაულები იქნება, სოციალიზმის გამარჯვებათა, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებათა დღესასწაულები იქნება. ამ დღეებში საბჭოთა ამომრჩევლები, კომუნისტები და უპარტიოები აირჩევენ საუკეთესო, ერთგულ მტკიცე ადამიანებს, რომელნიც დაამტკიცებენ თავიანთ ერთგულებას ლენინ-სტალინის საქმისადმი, ხალხის ერთგულ მსახურებს, რომლებიც შესძლებენ გაამართლონ სტალინური კონსტიტუციით განმტკიცებული გამარჯვებანი.

სტალინური კონსტიტუცია, რომელიც გაშლილი სოციალისტური დემოკრატიზმის საფუძველზეა აგებული, მკაფიოდ ელვარებს სსრ კავშირში სოციალიზმის მზარდ გამარჯვებათა ფონზე. ჩვენი საზღვრების გადაღმა, კაპიტალისტურ ქვეყნებში, ხალხები გმირულად იბრძვიან თავისი განთავისუფლებისათვის. გმირულად იბრძვის ესპანელი ხალხი, რომლის დამოუკიდებლობაც გერმანიისა და იტალიის ფაშისტებს უნდათ სისხლში ჩაახრჩონ. იაპონიის იმპერიალიზმი მიისწრაფვის დაიმონოს ჩინელი ხალხი. გერმანელმა ფაშისტებმა სახელმწიფოებრიობა წაართვეს ავსტრიას. ფაშისტი ავანტიურისტები ემუქრებიან ლიტვის, ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობას.

თავის დაპყრობითს გეგმებში იმპერიალისტებს თვალი უჭირავთ სსრ კავშირზე — განთავისუფლებული შრომის ქვეყანაზე, რომელმაც მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის სიმპათიები მოიხვეჭა. საარჩევნო კამპანია მსოფლიოში ყველაზე თანამიმდევრობითი დემოკრატიული სისტემით, არჩევნები, რომლებიც ჩვენი დიადი გამარჯვებების კიდევ ერთი დათვალიერება იქნება, ღაგზნებენ მთელი მსოფლიოს პროლეტარებსა და ჩაგრულებს იმისათვის, რომ გააძლიერონ ბრძოლა ფაშისტურ ბარბაროსობასთან, კაპიტალისტურ ექსპლოატაციასთან, პოლიტიკურ უუფლებობასთან, სსრ კავშირის ხალხები კი საარჩევნო კამპანიის დღეებში კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმებიან თავისი ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ, კიდევ უფრო მეტი ენტუზიაზმით იშრომებენ ქარხნებში და მინდვრებზე, კიდევ მეტი შეუპოვრობით გაანადგურებენ მტრებს და განამტკიცებენ თავისი დიადი სამშობლოს თავდაცვითს ძლიერებას.

მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების არჩევნები მსოფლიოს ერთხელ კიდევ დაანახვებენ ურყევ მორალურ და პოლიტიკურ ერთიანობას საბჭოთა ხალხისა, რომელმაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

„პრავდის“ მოწინავე, 22/IV.

ს. გერია

ქართველი ხალხი ლენინ-სტალინის დროშით ეგებება უმაღლესი საბჭოს არჩევნებს

სტატია, გამოქვეყნებული 1938 წლის 23 აპრილის „პრავდაში“

... „ახლა ჩვენ გვაქვს სავსებით ჩამოყალიბებული მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფო, რომელმაც ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და რომლის სიმტკიცეც შეშურდებოდა რომელიც გნებავთ ნაციონალურ სახელმწიფოს ქვეყნიერების რომელიც გნებავთ ნაწილში“.

ი. სტალინი

ახლოვდება მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნები. 1938 წლის 12 ივნისს ქართველი ხალხი საქართველოს სს რესპუბლიკის იმ კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც აგებულია სტალინური კონსტიტუციის დიად პრინციპებზე, აირჩევს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს.

ქართველი ხალხი მთელი თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მამაცურად იცავდა თავის თავისუფლებას. იგი გმირულად იგერიებდა რომის იმპერატორების, თურქეთის სულთანების, სპარსეთის შაჰების ურდოთა ურიცხვ თავდასხმას.

მიუხედავად ცარიზმის უსასტიკესი კოლონიური პოლიტიკისა, ცარიზმის, რომელიც ცდილობდა ჩაეხშო ქართველი ხალხის თავისუფლების მოყვარული სული და მოესპო მისი ნაციონალური თვითშეგნება, — ქართველმა ხალხმა შესძლო საუკუნეების მანძილზე გამოეტარებინა თავისი ენა, თავისი ძველი კულტურა, თავისი ნაციონალური ხასიათი და მთელის საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.

საქართველო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა გახდა. დაიწყო ქართველი ხალხის აღორძინების ეპოქა. ბოლშევიკური პარტიისა და მისი სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, პირადათ ამხანაგ **სტალინის** მუდმივი მზრუნველობითა და ყურადღებით, ქართველმა ხალხმა საბჭოთა კავშირის ყველა განთავისუფლებულ ხალხთან ერთად თავისი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ნამდვილ აყვავებას მიაღწია.

რა განუზომელი განსხვავებაა ხალხთა ფართო მასების მდგომარეობისა ჩვენში და კაპიტალიზმის ქვეყნებში.

ფაშიზმი — ეს ფინანსიური კაპიტალის აშკარა, ტერორისტული დიქტატურა, მთელი მსოფლიოს მშრომელთა შეურიგებელი, უსასტიკესი მტერი — თავხედურად სთელავს ფეხქვეშ ხალხთა ელემენტარულ უფლებებს.

გერმანიის ფაშიზმის ჩექმამ უხეშად გასთელა ავსტრიის ხალხის დამოუკიდებლობა; პოლონეთის ფაშიზმი, აყლარუნებს რა იარაღს, ხელჰყოფს ლიტვის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას; გმირი ესპანელი ხალხი უკვე მეორე წელიწადია სისხლისაგან იცლება იტალია-გერმანიის „მოხალისეთა“ არმიასთან უთანასწორო ბრძოლაში; იაპონიის სამხედრო ხროვა ცინიკურად სთელავს ფეხქვეშ ჩინეთის ხალხის ელემენტარულ უფლებებს. აღვირახსნილი ფაშისტი აგრესორები უშუალო საფრთხეს უქმნიან ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობას.

ქართველი ხალხი, ახსოვს რა სტალინის ბრძნული მითითებანი კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, აძლიერებს რა რევოლუციურ სიფხიზლეს ფაშიზმისა და მისი აგენტურის ინებისმიერ დროს მოულოდნელ ხრიკებისადმი, დიდი საბჭოთა კავშირის ხალხთა მჭიდრო ოჯახში შეკავშირებული მიდის სოციალისტური შენებლობის ახალი წარმატებებისაკენ, ენერგიულად ემზადება რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის — თავისი სასიხარულო საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის.

სამუდამოდ წარვიდნენ და არასოდეს აღარ დაბრუნდებიან ექსპლოატაციის, ძალადობისა და ჩაგვრის მძიმე წლები! ურყევია ხალხთა დიადი სტალინური მეგობრობა, რომლის დროშის ქვეშაც საქართველოს მშრომელები მშვიდობიანად აშენებენ თავის ცხოვრებას და სწრაფად და წარმატებით ანვითარებენ ხალხში არსებულ უდიდეს შემოქმედებითს ძალებს.

„ჩვენ შეგვიძლიან ვთქვათ, — ამბობდა ამხ. ვ. მ. მოლოტოვი საბჭოთა საქართველოს დელეგაციის კრემლში მიღების დროს, — რომ საქართველოში უკვე ცოტა რამ როდია გაკეთებული, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, რომლის მიხედვითაც მხოლოდ სუსტი წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის დიდ მომავალ მშენებლობაზე. საქართველო — ეს მსოფლიოს ერთერთი უბეღნიერესი კუთხეა, ბუნებრივი სიმდიდრეებით დაჯილდოებული და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მდიდარია ისეთი ადამიანებით, რომელთა ტალანტებიც ბრწყინავენ საქართველოსა, ამიერკავკასიასა და მთელს საბჭოთა კავშირში.

ქართველმა ხალხმა ბევრი რამ მისცა არა მარტო თავის ქვეყანას, არამედ მთელ საბჭოთა კავშირსაც, რომელსაც სპპატიო ადგილი უჭირავს კაცობრიობის ისტორიაში. საკმარისია ითქვას, რომ საქართველომ მოგვცა **ჩვენ ამხანაგი სტალინი**“.

სტალინურმა კონსტიტუციამ შეაჯამა შედეგი სსრ კავშირის ყველა ხალხის ბრძოლისა თავისი ბედნიერი აწმყოსათვის, ჩასწერა საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი მიღწევები მისი არსებობის 20 წლის მანძილზე. ეს ბედნიერი, კულტურული, უზრუნველყოფილი ცხოვრება საქართველოს მშრომელთა მილიონების გულში იწვევს უდიდესი სიყვარულის, მადლობისა და ერთგულების გრძნობას იმისადმი, ვინც ქართველი ხალხი, ისე როგორც ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხი, მიიყვანა ბედნიერ ცხოვრებამდე, — მშობლიური **სტალინისადმი**.

საბჭოთა საქართველო თავისი უმაღლესი საბჭოს პირველ არჩევნებს უდიდესი მიღწევებით ეგებება.

ეს მიღწევები შედგენა ჩვენი პარტიის მიერ, სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებისა, შედეგია იმისა, რომ წარსულში ჩამორჩენილი „განაპირა მხარეები“ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში აყვანილ იქნენ მოწინავე რესპუბლიკებისა და ზხარების დონემდე.

მრეწველობამ სოფლის მეურნეობის აბსოლუტურ ზრდასთან ერთად უპირატესი ადგილი დაიჭირა საქართველოს სახალხო მეურნეობაში. მრეწველობის ხვედრითმა წონამ სახალხო მეურნეობაში 1937 წელს 75 პროცენტს გადააჭარბა. 1928 წელს იგი შეადგენდა მხოლოდ 33 პროცენტს.

პირველი და მეორე ხუთწლედის მანძილზე მრეწველობაში დაბანდებულ იქნა 3.119.1 მილიონი მანეთი.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში საქართველოში შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი სრულიად **ახალი** დარგები, მანქანათმშენებლობის (კერძოდ, ჩაისა და მელვინეობის მოწყობილობის). ფეროშენადნობის, ცემენტის, ნავთის, აბრეშუმსაქსოვი, საფეიქრო, საკონსერვო, შაქრის მრეწველობა, ძვირფასი და იშვიათი ლითონების (ოქრო, დარიშხანა, მოლიბდენი) და არამადნეული წიაღისეულთა (ბარიტი, გუმბრინი) ამომღები მრეწველობა და სხვ. მრეწველობის მარგანეცისა და ქვანახშირის დარგები ამჟამად ხელახლა რეკონსტრუირებულია. 1937 წელს ამოღებულ იქნა 1.650 ათასი ტონა მარგანეცი, ესე-იგი თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე 1913 წელს. ამჟამად ქვანახშირის ამოღება სამჯერ და კიდევ უფრო მეტად სჭარბობს ომამდელი დროის ამოღებას.

საქართველოს ბუნებრივი რელიეფი ბოლშევიკთა ხელში იფი ელექტროენერგიის უმდიდრეს წყაროდ გადაიქცა. მთელ რიგ დიდ ჰიდროელსადგურებს (რიონის ჰიდროელსადგური, ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგური, აჭარის-წყლის ჰიდროელსადგური) და ათობით პატარა ელსადგურებს, აგრეთვე თბოსადგურებს, რომელთა საერთო სიმძლავრე 123 ათას კილოვატს უდრის, მოძრაობაში მოჰყავთ ქარხნებისა და ფაბრიკების მანქანები, შუქს აწვდიან საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს. რევოლუციამდე საქართველოს ელექტროსადგურების სიმძლავრე ძლივს აღწევდა 8 ათას კილოვატს, ელექტრონის განათება ფუფუნების საგანს წარმოადგენდა და მხოლოდ ქალაქის ბურჟუაზიისათვის იყო ხელმისაწვდომი.

განსაკუთრებით შესანიშნავია საქართველოს წარმატებანი **სოფლის მეურნეობის დარგში.** საბჭოთა საქართველომ, რომელიც განუხრელად ასრულებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ სტალინის მითითებებს, სწორად განსაზღვრა თავისი სოფლის მეურნეობის განვითარების ბაზა, რასაც ჰქონია და ნიადაგის პირობები უკარნახებენ, და გადაიქცა, საბჭოთა კავშირში ერთადერთ მხარედ, რომელიც სამრეწველო ოდენობით ამზადებს მთელი საბჭოთა კავშირისათვის ისეთ აუცილებელ პროდუქციას, როგორიც არის ჩაი, მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, მაღალხარისხოვანი საეფსპორტო თამბაქო, იშვიათი ჯიშის ხეები (ტუნგო, კეთილშობილი დაფნა, ევკალიპტი და მრავალი სხვა). ეს სპეციალური და ტექნიკური კულტურები საქართველოს სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის თავისებურებას შეადგენენ.

რევოლუციამდე ჩაის პლანტაციების ფართობი საქართველოში რამდენიმე ასეულ ჰექტარს ძლივს აღწევდა. ამჟამად ჩაის უკვე 45 ათასმდე ჰექტარი უკავია.

1921 წელს დამზადებულ იქნა სულ 550 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, გასულ წელს — 27 მილიონზე მეტი კილოგრამი, ხოლო მიმდინარე წელს გეგმით დასახულია 35 მილიონი კილოგრამი ფოთლის დამზადება, რაც გადამუშავებულ იქნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილ 36 ჩაის ფაბრიკაში და მოგვცემს 9.600 ათას კილოგრამზე მეტ ხმელ ჩაის. იგი ცნობილია მთელს საბჭოთა კავშირში „საქართველოს ჩაის“ სახელწოდებით და თავისი თვისებებით არ ჩამოუვარდება ცეილონის, ჩინური და იაპონური ჯიშის ჩაის.

დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეებმა, რომლებსაც თავის პლანტაციებზე მოჰყავთ ჩაი, მარტო 1937 წელს ჩაბარებულ ჩაის ფოთოლში მიიღეს 52 მილიონ მანეთზე მეტი და 29 მილიონი მანეთის საწარმოო კრედიტი.

ციტრუსები (მანდარინი, ფორთოხალი, ლიმონი) რევოლუციამდე მხოლოდ ცალკეულ კერძო მეურნეობებში მოჰყავდათ შავი ზღვის სანაპიროზე, როგორც იშვიათი მცენარეები. ამჟამად საქართველოში ციტრუსებს უკვე 6 ათასამდე ჰექტარი უკავია, მიმდინარე წლის ნარგავებიანად კი ციტრუსების ფართობი თითქმის 9 ათას ჰექტარს მიაღწევს. გასულ წელს საქართველოს ციტრუსების პლანტაციებმა 300 მილიონ ცალზე მეტი ციტრუსის ნაყოფი მისცა საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს.

საქართველოს მაღალხარისხოვანმა, საექსპორტო თამბაქომა გასულ წელს 21 ათასი ჰექტარი ფართობიდან 17 ათას ტონაზე მეტი თამბაქო მოგვცეს. თამბაქოს ჩაბარების გეგმა მიმდინარე წლის 25 მარტისათვის შესრულებული იყო 101 პროცენტით.

როგორც ცნობილია, საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დარგი — **მევენახეობა** მეწინავეებმა საქართველოში ბატონობის წლებში თითქმის სრულ განადგურებამდე მიიყვანეს.

ამჟამად ვენახების ფართობი 41 ათას ჰექტარს აღემატება და, რაც მთავარია, მიღებული ზომების მეოხებით, ლიკვიდირებულია ფილოქსერა, რომელიც წარსულში ათასი ჰექტარობით სპობდა ვენახის პლანტაციებს.

საქართველოს ღვინო სამართლიანად ითვლება ჩვენი ქვეყნის ერთერთ საუკეთესო ღვინოდ. ამჟამად ამხანაგ **სტალინის** ინიციატივით დაწყებულია შამპანური ჯიშის ყურძნის კულტივირება და საბჭოთა შამპანურის დაყენება. გარდა ვაშლის, მსხლის, ატმის, ბლის, ალუბლისა და სხვ. ხილის მოყვანისა, რომლებსაც ამჟამად საქართველოში 43 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ, ინტენსიურად ვითარდება სუბტროპიკული მეხილეობა — იაპონური ხურმა, მუშმუშა, ფეიხოა და სხვ.

მნიშვნელოვნად გაიზარდნენ სხვა უძვირფასესი კულტურების ნარგავები — ტუნგო, ეთეროვანი კულტურები, ევკალიპტი და სხვ.

1930 წელს ტუნგოს პლანტაციებს სულ 1 ჰექტარი ეჭირა. ამჟამად ამ ძვირფას კულტურას, რომელიც საავიაციო მრეწველობისათვის საჭირო ტექნიკურ ზეთსა და მთელ რიგ სხვა ძვირადღირებულ პროდუქტებს იძლევა, დაახლოებით 10 ათასი ჰექტარი უჭირავს და მიმდინარე წელს ეს ფართობი კიდევ გადიდდება 3 ათასი ჰექტარით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში სრულიად არ მოჰყავდათ ეთეროვანი გერანი, ხოლო წელს ეთეროვანი გერანის პლანტაციებს 1.200 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ.

1938 წლის დამდეგისათვის დარგულ იქნა 2.500 ათას ძირზე მეტი ევკალიპტის ხე და მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებულია კიდევ 2.770 ათასი ძირის დარგვა.

მავნებლების მიერ საქართველოს მეცხოველეობისათვის 1930-1931 წლებში მიყენებული ზიანი ამჟამად ლიკვიდირებულია. უკანასკნელი აღწერის მიხედვით, 1938 წლის 1 იანვრისათვის საქართველოს ჰყავდა 1.752 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, ნაცვლად 1.301 ათასი სულისა 1913 წელს; 1.952 ათასი სული ცხვარი და თხა, ნაცვლად 1.854 ათასი სულისა; 682 ათასი სული ღორი, ნაცვლად 284 ათასი სულისა 1913 წელს. ცხენების სულადობა 1913 წელთან შედარებით, 39 პროცენტით გადიდდა.

საქართველო სამართლიანად სარგებლობს ჯანმრთელობის სრულიად-საკავშირო კურის სახელით. საბჭოთა კავშირის მშრომელთა მასებში დიდი პოპულარობით სარგებლობენ ისეთი კეთილმოწყობილი კურორტები, როგორიცაა ბორჯომი, აბასთუმანი, წყალტუბო, ქობულეთი, გაგრა, სუხუმი.

უდიდესი სახსრებია დაბანდებული საქართველოს კურორტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის. ამჟამად ეს კურორტები წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა დასვენების კულტურულ და კეთილმოწყობილ ადგილებს.

საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდამ პირობები შეჰქმნა წარმატებებისათვის კულტურის დარგში.

ქართულ კულტურას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დროს მიეცა სწრაფი აღორძინებისა და შემდგომი განვითარების საშუალება.

თავისი უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ორდენოსანი საქართველო ეგებება როგორც მაღალკულტურული ქვეყანა, როგორც ერთერთი მოწინავე რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმურ ოჯახში.

ამჟამად საქართველო წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანაა. მთელს რესპუბლიკაში გატარებულია საყოველთაო დაწყებითი სავალდებულო სწავლება ოთხწლედის ფარგლებში, ხოლო ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში — შვიდწლედის ფარგლებში.

საქართველოს სასწავლებლებში, განსაკუთრებით უკანასკნელ დროს, ჯეროვანი ყურადღება ექცევა რუსული ენის შესწავლას, როგორც დიდ რუს ხალხთან ძმური ურთიერთობის მძლავრ საშუალებას, როგორც რუსეთის უმდიდრეს კულტურასთან გაცნობის საშუალებას.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების მიერ გამოშვებულია სხვადასხვა სპეციალობის 15 ათასზე მეტი ინჟინერი, ექიმი, აგრონომი, არქიტექტორი, პედაგოგი და სამეცნიერო მუშაკი.

საბჭოთა საქართველოს ლიტერატურა გამოვიდა სსრ კავშირის მოწინავე მოძმე ლიტერატურათა რიგებში.

პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ, რომლებიც მუდმივი მზრუნველობითა და ყურადღებით ეკიდებიან მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, რეჟისორებს, აქტიორებს, ხელოვნების ყველა მუშაკს, უზრუნველჰყვეს მათი განუხრელი იდეური და შემოქმედებითი ზრდა. აღიზარდნენ მხატვრული სიტყვის, თეატრის, კინოს, მუსიკის დიდი ოსტატები.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში ქართული ხელოვნების აყვავება ბრწყინვალე დადასტურებაა ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის სისწორისა, რომელმაც საშუალება მისცა განთავისუფლებულ ქართველ ხალხს სავსებით გაეშალა თავისი მდიდარი შემოქმედებითი ნიჭი.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებამ. იზრდება მტკიცე, ფიზიკურად და მორალურად ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა — ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებელთა მძლავრი კადრები.

და ხალხის წიაღში იქმნება თავისი ძალითა და მეტყველებით განსაკუთრებული სიმღერები ლენინზე, სიმღერები სტალინზე, სიმღერები ქართველი ხალხის ბედნიერ და სასიხარულო ცხოვრებაზე.

ხალხის უბოროტესი მტრები, ფაშიზმის მენშევიკ-ტროცკისტ-ბუხარინელი, ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური აგენტები ცდილობდნენ ჩაეშალათ ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობა საქართველოში.

საქართველოს ბოლშევიკებმა, ამხანაგი სტალინის ბრძნული მითითებებით შეიარაღებულებმა, გაანადგურეს მტრის ძირითადი ბუდეები.

სწმენდნენ რა თავის რიგებს ყოველგვარი უწმინდურებისაგან, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა აღზარდეს და ხელმძღვანელ სამუშაოზე დააწინაურეს აქტივის ახალი კადრები, ათასობით ახალი შემოწმებული ადამიანები, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, საკ. კ.პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი ბოლომდე ერთგულნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს დაწინაურდნენ აქტივის ახალი კადრები. არჩევნებმა ცხადჰყვეს ქართველი ხალხის ურყევი დარაზმულობა ბოლშევიკების პარტიის ირგვლივ, დიადი საბჭოთა ქვეყნის ლენინურ-სტალინური მთავრობის ირგვლივ.

საქართველოს ამომრჩეველთა 99,1 პროცენტმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს ერთსულოვნად მისცა ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა სტალინური ბლოკის კანდიდატებს.

საქართველოში წარსული არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ამომრჩეველთა 96,2 პროცენტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამოცდილების გათვალისწინებით, მასებში ბოლშევიკური მუშაობის ორგანიზებით, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები უზრუნველჰყოფენ ამომრჩეველთა ასპროცენტიან მონაწილეობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მომავალ არჩევნებში.

ხალხის მტრებმა თავისი საზიზღარი, ძირგამომთხრელი მუშაობით ცოტა ზიანი როდი მიაყენეს საქართველოს მშრომელებს. ყურადღება, მზრუნველობა და მუდმივი დახმარება, რომელსაც ქართველ ხალხს უწევენ პარტია, მთავრობა და ამხანაგი სტალინი, ჩვენ გვავალებს უსწრაფესად მოვახდინოთ მავნებლობის შედეგების ლიკვიდაცია სახალხო მეურნეობაში, გვავალებს აღმოვფხვრათ ის ნაკლოვანებანი, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვთ ჩვენს მუშაობაში.

მრეწველ

ამხანაგ ლ. ბერიას სტაჟიის დასასრული

თორს და მოგვცემენ 100 ტონამდე ძვირფას და ძვირადღირებულ გერანის ზეთს, რაც პარფიუმერიის მრეწველობისათვის საჭიროა მაღალწარისხოვანი საპნის, სუნამოს და სხვ. გამოსაშვებად.

საქართველო არის ერთადერთი რაიონი, რომელიც საბჭოთა კავშირის მრეწველობას ამარაგებს ქეთილშობილი დაფნით, რომელიც მეტად რენტაბელურია და დიდ შემოსავალს აძლევს კოლმეურნეებს.

ჩვენ ამოცანად დავისახეთ გავაფართოოთ დაფნის კულტურის პლანტაციები იმ ანგარიშით, რომ უახლოეს 2-3 წელიწადში უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის მთელი ქვების მრეწველობის მოთხოვნილება დაფნაზე.

ჩვენ ამოცანად ვისახავთ სავსებით უზრუნველვყოთ საქართველოს მშრომელნი საკუთარი მარცვლეულით და კარტოფილით, რაც უკვე უახლოეს წლებში (კარტოფილის მხრით 1939 წელს, ხოლო მარცვლეულისა — 1940 წელს) საშუალებას მოგვცემს განვტვირთოთ რკინიგზის ტრანსპორტი ამ პროდუქტების გადმოზიდვისაგან საბჭოთა კავშირის ცენტრალური ოლქებიდან.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ჩამოთვლილი დარგები ამჟამად მტკიცედ დამკვიდრდნენ საქართველოს ეკონომიკაში და მათი განვითარების პერსპექტივები არავითარ ეჭვს არ იწვევს. ისინი შეადგენენ საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი და სწრაფი ზრდის ეკონომიურ საფუძველს, ჰქმნიან რა ხელსაყრელ პირობებს ქართველი ხალხის კულტურული დონის კიდევ უფრო მეტი ამაღლებისათვის.

ქართველი ხალხი გაწუყოფილია საბჭოთა კავშირის ხალხთა ოჯახებისაგან.

სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა მტკიცეა, როგორც ხალი კლდე.

საქართველოს მოლშეკიებს და მთელ ქართველ ხალხს მაღლა და მტკიცედ უჭირავთ თავის ხელში ლენინ-სტალინის უძლეველი დროშა.

ეგებება რა თავისი უმაღლესი საბჭოს პირველ არჩევნებს, ქართველი ხალხი ურღვევ ფიცს სდებს მთელი მშრომელი კაცობრიობის ბელადის დიდი სტალინის წინაშე—სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვას მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესები, მკერდით დაიცვას საბჭოების ქვეყანა მტრის თავდასხმისაგან მისი თვალუწვდენი საზღვრების ყოველ უბანზე.

26 ივნისს შესდგება უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები

კიევი, 21 აპრილი (საკდესი). უკრაინის სსრ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის შესახებ, დაამტკიცა ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა, საარჩევნო ოლქების რაოდენობა და ტერიტორიული შემადგენლობა.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები დანიშნულია 1938 წლის 26 ივნისისათვის. 26 აპრილს იწყება საარჩევნო კამპანია.

უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია დამტკიცებულია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელების საზოგადოებათა შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — ნიკოლოზ ანდრიას-ძე **კურაჩი** — სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე — ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **ბოგომოლეც** — უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი—ანდრია ათანასეს-ძე **ვაშუკი** — პოლიტიკურ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

ალექსანდრე ვასილის-ძე **ოხიპოვი** — ხარკოვის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სტეფანე ივანეს-ძე **უსენკო**—უკრაინის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

ათანასე სერგეის-ძე **ევოროვი** — კიევის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

მიხეილ ნიკოლოზის-ძე **პოლიაკოვი** — უკრაინის სს რესპუბლიკის თავდაცვისა და საავიაციო-ქიმიური მშენებლობის ხელშემწყობ საზოგადოების (თავდაცვა-ავიაქიმი) ცენტრალური საბჭოსაგან.

მირონ დიმიტრის-ძე **დიუკანოვი**— დონეცის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ანდრია ტერენტის-ძე **ჩეკანიუკი** — გაზეთ „კომუნისტის“ მუშაკთა კოლექტივისაგან.

ალექსანდრე ევდოკიმეს-ძე **კორნეიჩუკი** — უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირისაგან.

სერგეი ტიმოთეს-ძე **ხარუბინი** — დნეპროპეტროვსკის ქ. ლიბკნეხტის სახელობის ქარხნის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინრებისაგან.

მარიამ პეტრეს-ასული **პორკულიოლდავეთის** სსრ ტარასპოლის რაიონის კოლმეურნეობა „ლუჩაფეროს“ კოლმეურნეებისაგან.

ქრისტინე პროკოფის-ასული **ბაიდიჩი** — კამენეც-პოდოლსკის ოლქის კრასილოვსკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ვიქტორ ივანეს-ძე **ბოგატენკო** — ნიკოლაევსკის ანდრე მარტის სახელობის ქარხნის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინრებისაგან.

ვლადიმერ იაკობის-ძე **კრიმსკი** — ოდესის ოლქის გრუშკოვოს მტს-ის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-აგრონომ მუშაკებისაგან.

უკრაინაში იქმნება უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 304 საარჩევნო ოლქი. არჩევნების დღე—26 ივნისი — გამოცხადებულია საერთო გამოსასვლელ, არასამუშაო დღედ.

საარჩევნო კამპანია ბელორუსიის სს რესპუბლიკაში

მინსკი, 21 აპრილი (საკდესი). დღეს ბელორუსიის სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა 1938 წლის 26 ივნისისათვის დანიშნა ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ამასთან დაკავშირებით, 24 ივნისის გამოსაველელი დღე რესპუბლიკაში გადატანილია 26 ივნისისათვის.

დამტკიცებულია ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელების საზოგადოებათა შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე **პანტელეიმონ კონდრატის-ძე პონომარენკო** — ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები:

ალექსანდრე პავლეს-ძე **მატვეევი** —მინსკის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სერაფიმ ნიკოლოზის-ძე **ელაგინი** — ბელორუსიის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

ზათე ანდრიას-ძე **მაკუშინი** — მინსკის გარნიზონისაგან.

პრასკოვია კონსტანტინეს-ასული **ტუხანსკაია** — ორშანსკის რაიონის კოლმეურნეობა „ჩერვონიე იარომკოვიჩის“ კოლმეურნეებისაგან.

ანა სიმონის-ასული **ანტონოვა**—პოლიტიკურ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი პეტრე სერგეის-ძე **სპასოვი** — ბელორუსიის სსრ თავდაცვისა და საავიაციო - ქიმიური მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოების (თავდაცვა-ავიაქიმი) ცენტრალური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები:

ალექსანდრე ვასილის-ძე **ოხიპოვი** — ხარკოვის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

სტეფანე ივანეს-ძე **უსენკო**—უკრაინის ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

ათანასე სერგეის-ძე **ევოროვი** — კიევის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

მიხეილ ნიკოლოზის-ძე **პოლიაკოვი** — უკრაინის სს რესპუბლიკის თავდაცვისა და საავიაციო-ქიმიური მშენებლობის ხელშემწყობ საზოგადოების (თავდაცვა-ავიაქიმი) ცენტრალური საბჭოსაგან.

მირონ დიმიტრის-ძე **დიუკანოვი**— დონეცის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ანდრია ტერენტის-ძე **ჩეკანიუკი** — გაზეთ „კომუნისტის“ მუშაკთა კოლექტივისაგან.

სერგეი ტიმოთეს-ძე **ხარუბინი** — დნეპროპეტროვსკის ქ. ლიბკნეხტის სახელობის ქარხნის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინრებისაგან.

მარიამ პეტრეს-ასული **პორკულიოლდავეთის** სსრ ტარასპოლის რაიონის კოლმეურნეობა „ლუჩაფეროს“ კოლმეურნეებისაგან.

ქრისტინე პროკოფის-ასული **ბაიდიჩი** — კამენეც-პოდოლსკის ოლქის კრასილოვსკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებისაგან.

ვიქტორ ივანეს-ძე **ბოგატენკო** — ნიკოლაევსკის ანდრე მარტის სახელობის ქარხნის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინრებისაგან.

ვლადიმერ იაკობის-ძე **კრიმსკი** — ოდესის ოლქის გრუშკოვოს მტს-ის მუშებისა, მოსამსახურეებისა და ინჟინერ-აგრონომ მუშაკებისაგან.

უკრაინაში იქმნება უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების 304 საარჩევნო ოლქი. არჩევნების დღე—26 ივნისი — გამოცხადებულია საერთო გამოსასვლელ, არასამუშაო დღედ.

თბილისის — ბერიას საარჩევნო ოლქის № 9 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ოლღა ნიკოლოზის-ასული მდინარაძე (მაუდ-კამოლის ფაბრიკის პარტიული კომუნისტური ორგანიზაციისაგან) ფაბრიკის აქტივს ესაუბრება საარჩევნო უბნების მოწყობის შესახებ.

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.).

თბილისში დამთავრებულია საარჩევნო უბნების საზღვრების დადგენა

ობილისის ყველა რაიონში დამთავრებულია საარჩევნო უბნების საზღვრების დაწესება. ქალაქში შეიქმნება 238 საარჩევნო უბანი, რომელთა საზღვრები უმეტესად ემთხვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დროს შექმნილ უბნების საზღვრებს.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრობის კანდიდატთა დასახელება უკვე დაიწყო.

დიდი მუშაობაა გაწეული ამომრჩეველთა სიების შესადგენად. ქალაქის სტალინისა და ლენინის რაიონებმა ძირითადად უკვე დაამთავრეს ამომრჩეველთა სიების შედგენა. ქალაქის დანარჩენ სამ რაიონში ეს საქმე დასასრულს უახლოვდება.

უახლოეს დღეებში ქალაქის 2.235 გადამწერი დაიწყებს სახლების ჩამოვლას ამომრჩეველთა სიების შესამოწმებლად და დასაზუსტებლად.

გადამწერთა პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციები, რაიონული საბჭოების დეპუტატები, მრავალი დიასახლისი, რომელთაგან ბევრი, მაგალითად, ამხანაგები, შარაფია, ჟორდანია და სხვ. საზოგადოებრივი მუშაობის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. დიასახლისი ამხ. სოფიო სამხარაძე იმდენად კარგად ასრულებს დავალებულ საქმეს, რომ იგი ახლა ამომრჩეველთა სიების შედგენის ბრიგადირად დანიშნეს. მეორე დიასახლისს ამხ. ჩომახიძეს ლენინის რაიასბჭო აწიანურებს პასუხსაგებ სამუშაოზე რაიასბჭოს აპარატში.

ტექნიკური მუშაობის გარდა, გადამწერები უკვე ამჟამად ეწევიან დიდ საagitაციო - მასობრივ მუშაობას. გადამწერთათვის ამ საქმეში დახმარების გასაწევად კიროვის რაიონში არსებულ წრეებს ამ მხრივ განსაკუთრებით სუსტად მუშაობს რაიაღმასკომი.

დებულების სწავლების დჭრაში პარტკაბინეტს (გამგე — გ. მაჭავარიანი) დღემდე თითქმის არაფერი გაუკეთებია. პროპაგანდისტებსა და agitატორებს პარტკაბინეტი ნაკლებად ეხმარება. პროპსემინარები, კონსულტაციები, ინდივიდუალური საუბრები აქ არ იმართება.

ს. ნათელაშვილი

ცუდი ხელმძღვანელობის შედეგად

საქართველოს სსრ კონსტიტუციისა და უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების პროპაგანდა თიანეთის რაიონში არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი.

ამჟამად რაიონში საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების შესასწავლად ჩამოყალიბებულია 103 წრე 3040 მსმენელით.

დებულების სწავლების გარეშე დარჩენილია 6000-მდე ამომრჩეველი.

წრეები გადატვირთულია მსმენელებით. სიონის კოლმეურნეობასთან არსებულ წრეში (პროპაგანდისტი პ. ჯიმშიტაშვილი) 50 მსმენელი ირიცხება; ზარიძეების სასოფლო საბჭოსთან არსებულ წრეში 40 კაცია, სოფ. ზემო ალოტში არსებულ წრეში—44, სოფ. საკრეშოს დებულების შემსწავლელ წრეში—36, სოფ. ჯაბანიანების წრეში—36. მსგავსი მდგომარეობაა რაიონში მოწყობილი წრეების უმრავლესობაში.

საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების სწავლების შესახებ საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მესამე მდივანი ამხ. ბ. გედეშური აცხადებს: წრეები გადატვირთულია ამომრჩევლებით და რა გასაკვირია, რომ ამის გამო ყოველ მეცადინეობას მსმენელთა 50 პროცენტი აკლდებაო.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია. პროპაგანდისტები დებულების სწავლების მითითებულ ლიტერატურას არ იყენებენ.

ჩაშლილია დებულების სწავლების საქმე სოფ. შარახევის კოლმეურნეობაში (პროპაგანდისტი ამხ. გ. პაპაიშვილი), სოფ. ბუშუყინტის კოლმეურნეობაში (პროპაგანდისტი ა. შავერდაშვილი).

დებულების სწავლება დღემდე არ დაუწყიათ სოფ. ზენამხარეში, სადაც 800 ამომრჩეველია. რაიონის ხელმძღვანელები ნაკლებად ზრუნავენ იმაზე, რომ მეთვალყურეობა და დახმარება გაუწიონ რაიონში არსებულ წრეებს. ამ მხრივ განსაკუთრებით სუსტად მუშაობს რაიაღმასკომი.

დებულების სწავლების დჭრაში პარტკაბინეტს (გამგე — გ. მაჭავარიანი) დღემდე თითქმის არაფერი გაუკეთებია. პროპაგანდისტებსა და agitატორებს პარტკაბინეტი ნაკლებად ეხმარება. პროპსემინარები, კონსულტაციები, ინდივიდუალური საუბრები აქ არ იმართება.

ს. ნათელაშვილი

ფორმალურად ყველაფერი რიგზეა

სურამი, (საქდესი). საქ. უმაღლესი საბჭოს საარჩევნო დებულების შესწავლის საქმეში სურამის სოფსაბჭოს ფორმალურად ყველაფერი რიგზე აქვს. შექმნილია დებულების შემსწავლელი 107 წრე. გამოყოფილი არიან წრის ხელმძღვანელები, რომლებისთვისაც შექმნილია ვითომ ორი agitკოლექტივი, მაგრამ წრეების მუშაობა და თვით დებულების შესწავლა სუსტად მიმდინარეობს.

სოფ. იტრიის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წრეში 18 აპრილს მეცადინეობაზე 30 კაციდან მხოლოდ 8 კაცი დაესწრო. სოფ. გვერდისუბანში დებულების შემსწავლელ 2 წრეს მუშაობა არ დაუწყია.

ებრაელთა უბანში დღემდე ერთ წრეში ირიცხებოდა 120 კაცი, ხოლო ამავე უბანში დებულების შემსწავლელი ცხრა წრიდან ჯერ არც ერთი არ მუშაობს.

სურამის სოფსაბჭომ, პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციამ ახლავე უნდა გამოასწორონ ეს ნაკლი და უზრუნველჰყონ, რომ თვითეულმა ამომრჩეველმა ღრმად შეისწავლოს და იცოდეს საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულება.

სტუდენტთა საარჩევნო ოლქში

(ორჯონიკიძის სახ. რაიონი)

სტუდენტთა საარჩევნო ოლქის (№ 27) საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა ინფორმაცია ამომრჩეველთა სიების შედგენის შესახებ ოლქში. საარჩევნო უბნებისა და ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაში დახმარების გასაწევად, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები მიმაგრებულ იქნენ საარჩევნო უბნებზე.

კომისიის წევრები გაეცნენ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულებასა და საარჩევნო ოლქის რუკას.

დაწესებულ იქნა კომისიის წევრთა მორიგეობა. კომისიის წევრები მორიგეობენ დილის 10 საათიდან საღამოს 12 საათამდე.

საოლქო საარჩევნო კომისია მოთავსებულია საქ. ზოოვეტერინარული ინსტიტუტის შენობაში — მარის ქ. № 17, პირველი სართული, ტელეფ. № 3—10—42.

ცნობა

თბილისი — კუშკინის საოლქო საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების პუშკინის საარჩევნო ოლქის № 22-ის საარჩევნო კომისია მოთავსებულია თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილების შენობაში, სარეწაო კოოპერაციის ქუჩა № 4, მე-2 სართული, ოთახი № 21, ტელეფონები: კომისიის თავმჯდომარისა 3—58—20, თავმჯდომარის მოადგილისა — 3—60—86, მორიგისა 3—65—02.

დაწესებულია კომისიის წევრთა მორიგეობა დილის 10 საათიდან დღის 4 საათამდე და საღამოს 7 საათიდან ღამის 12 საათამდე.

მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მცხეთის საარჩევნო ოლქის № 31-ის საარჩევნო კომისია მოთავსებულია მცხეთის სასოფლო საბჭოს შენობაში, სამხედრო ქუჩა № 40.

დაწესებულია კომისიის წევრთა მორიგეობა დილის 9 საათიდან ღამის 11 საათამდე.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის შესახებ

სრულიად - რუსეთის საბჭოების მე-17 საგანგებო ყრილობის დადგენილებისა და „რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-63 მუხლის საფუძველზე რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღის დადგენის შესახებ არაუგვიანეს, ვიდრე ორი თვით ადრე არჩევნების ვადისა და არასამუშაო დღეს, სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაინიშნოს რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები 1938 წლის 26 ივნისს.

2. გამოცხადდეს რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების საარჩევნო კამპანიის დაწყება 1938 წლის 26 აპრილიდან.

3. გადატანილ იქნას გამოსასვლელი დღე 24 ივნისიდან 26 ივნის.

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ, სრულიად-რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის წევრი ა. არტიუხინა.

მოსკოვი, კრემლი.
1938 წ. 20 აპრილი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 34 და 35 მუხლების საფუძველზე სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს: დამტკიცებულ იქნას რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მშრომელების საზოგადოებათა შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ივანეს-ასული **ნიკოლაევა** — პროფესიულ კავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოსაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ივანე დიმიტრის-ძე **პაპანინი**—ჩრდილოეთის საზღვაო გზის მუშაკთა პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი სერგეი ვასილის-ძე **კაფტანოვი** — უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირისაგან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები

ალექსანდრე ვასილის-ძე **ვოხაიერევი** — ახალგაზრდობის სრულიად-საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირისაგან.

ალექსი ალექსანდრეს-ძე **კუზნეცოვი**—ლენინგრადის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ალექსანდრე ექვთიმეს-ძე **ნიკიტინი** — გაზეთ „პრავდის“ მუშაკთა კოლექტივისაგან.

თემირზაგით ბილალის-ძე **ბილალოვი** — ბაშკირეთის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ჰაიშა ხალილის-ასული **იშმურატოვა** — თათართა ასს რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციებისაგან.

გრიგოლ მარკელის-ძე **ილინი** — ქ. მოსკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტის“ მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინრებისაგან.

ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე **ივანოვი** — ქ. ლენინგრადის კიროვის სახ. ქარხანა „ელექტროსილის“ მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინრებისაგან.

სერგეი პეტრეს-ძე **იასტრებოვი** — ქ. გორკის ქარხანა „კრასნოე სორმოვოს“ მუშების, მოსამსახურეებისა და ინჟინრებისაგან.

ანდრია ვლადიმერის-ძე **ჩებოტარიოვი** — როსტოვის ოლქის გლუბოკის რაიონის კოლმეურნეობა „ზარია რევოლუციის“ კოლმეურნეთაგან.

ანა ანდრიას-ასული **კისელიოვა** — ჯალინინის ოლქის, ბეჟეცკის რაიონის კოლმეურნეობა „ბუდიონოვეცის“ კოლმეურნეთაგან.

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. კალინინი

სრულიად-რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ, სრულიად-რუსეთის ცაკის პრეზიდიუმის წევრი ა. არტიუხინა.

მოსკოვი, კრემლი.
1938 წლის 20 აპრილი.

საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომები

26 კომისრის სახ. რაიონის მშრომელები დიდი აღფრთოვანებით ემზადებიან საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის.

ყველა საარჩევნო ოლქში ჩატარდა საოლქო საარჩევნო კომისიების სხდომები. შაუმიანის საოლქო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომაზე განხილული იქნა საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების მე-5 თავი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა მოვალეობის, უბნებზე მათი მიმაგრებისა და ოლქში შემავალ უბნების რიგითი ნომრების დაწესების შესახებ. შემოღებულია კომისიის წევრთა მორიგეობა.

ამ დღეებში შესდგა აგრეთვე № 14 საოლქო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა. სხდომაზე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა მთელი ყურადღება მიექცა agitმასობრივი მუშაობის გაშლას და სიების ზუსტად შედგენას. სხდომაზე გამოირკვა, რომ ამხ. ურუშაძისა და სარკისოვის ბრიგადებმა უკვე დაამთავრეს ამომრჩეველთა სიების შედგენა. გარდა ამისა, აღნიშნული ბრიგადები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ საagitაციო - მასობრივი მუშაობის გაშლას, სისტემატურად ამოწმებენ წრეების მუშაობას; ეწყობა დიასახლისების კოლექტიური კრებები, ექსკურსიები. მაგალითად, დიასახლისებისათვის მოეწყო ექსკურსია ავლაბარში ბოლშევიკების ყოფილ არალეგალურ სტამბაში, გორში და სხვა.

დიდი მუშაობა გაიშალა რაიონში ამომრჩეველთა სიების შედგენისათვის.

ამ დღეებში საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების, agitატორებისა და დიასახლისთა აქტივის გაერთიანებულ თათბირზე მოსმენილ იქნა რაიკომის მდივნის ამხ. მილშტეინის ინფორმაცია არჩევნებისათვის მზადების შესახებ. თათბირზე განხილულ იქნა ამომრჩეველთა სიების შედგენის კალენდარული გეგმა, რის შემდეგაც რაიონში სიების შესადგენად მიმაგრებული იქნა 300-ზე მეტი კაცი. სიების შედგენა კალენდარული გეგმით 2 მაისამდე უნდა დამთავრდეს.

რაიონში შექმნილია 6 საარჩევნო ოლქი; დამთავრდა რაიონში საარჩევნო უბნების საზღვრების დადგენა. რაიონი დაყოფილია 52 საარჩევნო უბნად.

პროპაგანდისტის დასახმარებლად

რა არის ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი, მხარე და ოლქი და რა განსხვავებაა მათ შორის

ნ. სლეპნევი

სსრ კავშირი წარმოადგენს მსოფლიოში ერთადერთ მრავალეროვან სახელმწიფოს, სადაც მთელი მოსახლეობა, განურჩევლად ეროვნებისა, თანასწორი უფლებებით სარგებლობს და სადაც სახელმწიფო თვითეული ეროვნებისათვის უზრუნველჰყოფს შესაძლებლობას — გავითაროს თავისი მეურნეობა და თავისი კულტურა, ფორმით ნაციონალური, შინაარსით სოციალისტური.

სსრ კავშირის შემადგენლობაში, როგორც ცნობილია, შედის 11 თანასწორუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკა. ამ რესპუბლიკების შემადგენლობაში, თავის მხრით, შედიან ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები.

რსფსრ-ში 17 ავტონომიური რესპუბლიკაა და 6 ავტონომიური ოლქი. უკრაინის სს რესპუბლიკაში — 1 ავტონომიური რესპუბლიკა. აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში — 1 ავტონომიური რესპუბლიკა და 1 ავტონომიური ოლქი. საქართველოს სს რესპუბლიკაში — 2 ავტონომიური რესპუბლიკა და 1 ოლქი. უზბეკეთის სს რესპუბლიკაში 1 ავტონომიური რესპუბლიკა. ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში—1 ავტონომიური ოლქი. დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებს თავის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები არა აქვთ. ამრიგად, ავტონომიური რესპუბლიკა, ისევე როგორც ავტონომიური ოლქი, არის თვითმმართველი ნაციონალურ - ტერიტორიული ერთეული რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში. ავტონომიის ჩვენი საბჭოთა პოლიტიკის არსი იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრული ეროვნება ღებულობს აღიარებულ უფლებას და რეალურ შესაძლებლობას გაერთიანდეს თავის ტერიტორიულ საზღვრებში, რათა თავისუფლად განავითაროს თავისი მეურნეობა, თავისი ენა და თავისი კულტურა, ლობა, 1936 წ.

ნაციონალურ ერთეულს წარმოადგენს, ვიდრე ნაციონალური ოლქი.

სტალინური კონსტიტუციის მიხედვით, ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას თავისი კონსტიტუცია აქვს, მაშინ როდესაც ავტონომიურ ოლქს ის არა აქვს. ავტონომიურ რესპუბლიკას მართავს ამავე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, რომელიც ირჩევს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს, მაშინ როდესაც ავტონომიურ ოლქებში მმართველობის ორგანოებს წარმოადგენენ ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოები. ეროვნებათა საბჭოში ავტონომიური რესპუბლიკა 11 დეპუტატს ჰგზავნის, ავტონომიური ოლქი—5 დეპუტატს. ცხადია, რომ ავტონომიური რესპუბლიკა ნაციონალური ეროვნულის უფრო მაღალი ტიპია, ვიდრე ავტონომიური ოლქი. ამიტომ ავტონომიურ რესპუბლიკას სსრ კავშირის. კონსტიტუციით უფრო მეტი დამოუკიდებლობა ენიჭება საზოგადოებრივი ცხოვრების იმ დარგებში, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ყოფაცხოვრებასთან და ნაციონალურ თავისებურობებთან და რომლებსაც, მაშასადამე, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მოცემული ერის განვითარებისათვის.

მხარეებად დაყოფა მხოლოდ რსფსრ-ში არსებობს. რსფსრ-ის შემადგენლობაში 5 მხარე და 27 ოლქია. დანარჩენ მოკავშირე რესპუბლიკებში მხარეები არ არსებობს.

მხარე იმით განსხვავდება ოლქისაგან, რომ მხარის შემადგენლობაში შედის ავტონომიური ოლქი. ასე, მაგალითად, კრასნოიარსკის მხარის შემადგენლობაში შედის ხაკასის ავტონომიური ოლქი, ორენბურგის მხარის შემადგენლობაში შედის ბაშკირის ავტონომიური ოლქი და სხვ.

„პროპაგანდისტი“ № 6

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიული ცხოვრება

ადამიანები, პარტიის წევრთა აღზრდა—აი რა უნდა იყოს პარტიული ანგარიშის ცენტრში

თბილისის დეპოს პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება

დეპოს სასადილო ხალხით სავსეა. დამსწრეთა შორის არიან კადრის ძველი მუშები, ჰაღარამოსილი ბოლშევიკები, რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ მეფის თვითმპყრობელობასთან და მენშევიკებთან ბრძოლაში ქართველი ხალხის ბედნიერებისათვის. მათ გვერდში უდგას ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდობა, რომელიც საწარმოო მუშაობისა და პოლიტიკური სწავლის ნიმუშებს იძლევა.

პარტკომის მდივნის ამხ. გ. ხომერიკის საანგარიშო მოხსენება დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი.

— ჩვენ ცოტა წარმატება როდი გვაქვს, —ამბობს ამხ. ხომერიკი, მაგრამ ნაკლიც საკმაოდ გვაქვს, და ამას უნდა მივაქციოთ მთელი ჩვენი ყურადღება, რათა გავაუმჯობესოთ მუშაობა.

ᘐ

დეპოს პარტიულ ორგანიზაციაში მოქმედებდნენ ხალხის მტრები. პროვოკაციული, ცილისმწამებლური მასალების მიხედვით პარტიის რიგებიდან რიცხავდნენ ბატიოსან, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი ერთგულ კომუნისტებს.

მტრები გაწაოწაკარავებულ იქნენ. პარტიული ორგანიზაციები შეიარაღდნენ სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით.

მაგრამ პარტიულმა კომიტეტმა, როგორც სჩანს, პირველ ხანებში ვერ გაიგო სკკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბლენუმის გადაწყვეტილებათა დედაარსი. მუშაობა დაშვებულ შეცდომათა გამოსასწორებლად იმაში მდგომარეობდა, რომ პარტკომი მიუთითებდა, სად უნდა შეიტანონ აპელაციები. თვით პარტიულმა კომიტეტმა კი მხოლოდ ერთი აპელაცია განიხილა. ამავე დროს, 49 გამორიცხულიდან, რომლებმაც აპელაციები შეიტანეს, 20 აღდგენილია პარტიის წევრის უფლებებში. მაგრამ პარტიის რიგებში აღდგენილ ამხანაგებს პარტიული კომიტეტი საკმაოდ ვერ აბამს პარტიულ-მასობრივ და პოლიტიკურ მუშაობაში, ვერ იჩენს მათდამი ნამდვილ მზრუნველობასა და ყურადღებას.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა მელქაძემ, გ. ბერიაშვილმა და ლელინმა (სკკ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი) დიდი ყურადღება მიაქციეს პარტორგანიზაციის ზრდის საკითხებს. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დეპოს პარტორგანიზაციამ თავის რიგებში მიიღო 52 კაცი და კანდიდატობიდან პარტიის წევრად გადაიყვანა 26 კაცი.

პარტიაში მიღებული არიან დეპოს საუკეთესო მემანქანე-ორდენოსნები: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხ. ა. წიქლაური, ამხ. გელაძე, მოწინავე კომკავშირელნი, სტალინური გაწვევის ნიშნოსნები — ამხანაგები თამარ გაგნიძე და ბეროზაშვილი, კრიონოსელი როსებაშვილი და სხვ.

მიუხედავად ამისა, მუშაობა ამ დარგში არ შეიძლება სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს ისეთი ორგანიზაციისათვის, როგორიცაა დეპო, რომელსაც მოეპოება საუცხოო რეზერვი, სახელდობრ, 600-მდე სტახანოველი და დამკვრელი — ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული ადამიანები.

პარტიის რიგების შესავსებად საუცხოო რეზერვს წარმოადგენენ აგრეთვე კომკავშირის ორგანიზაცია, რომელშიაც 150 კომკავშირელი ითვლება, და მანამგრძნობთა ჯგუფი 60-ზე მეტი კაცის ზემადგენლობით.

ამავე დროს პარტიული ორგანიზაცია არ ეწევა მათ შორის საკმაო პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას.

მეორე საკითხი, რომელიც სდგას საანგარიშო - საარჩევნო კრების ყურადღების ცენტრში — ეს არის პოლიტიკური განათლება.

ამ მხრივ დეპოს პარტიულ ორგანიზაციას უდავოდ დიდი მიღწევები აქვს. თუ 1937 წლის პირველ ნახევარში პარტიული განათლების წრეების მეცადინეობას ესწრებოდა მხ.შენელთა 25-30 პროცენტი, ამჟამად დასწრების პროცენტი უკვე 90-ს აღწევს.

სისტემატურად მეცადინეობს 10 წრე (სკკ. კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი 6 წრე და პოლიტწრეების 4 წრე). პოლიტსწავლებაში ჩაბმულია აგრეთვე თანამგრძნობთა უმრავლესობა.

ამხანაგებმა როგოტკოვმა, ბერიაშვილმა, დაცკომ და სხვ. აღნიშნეს, რომ უმნიშვნელოვანესი მუშაობა პოლიტიკური განათლების დარგში რამდენადმე ცალმხრივად მიმდინარეობს. ჩვენ ვცდილობთ მსმენელები 100 პროცენტით ჩავაბათ სწავლებაში, მაგრამ ცუდად ვეწევით კონტროლს პროგრამის შეთვისების მხრივ.

მეცადინეობისათვის გამოყოფილ შენობებში ხშირად არ არის სკამები, მაგიდები, ყველანი არ არიან უზრუნველყოფილნი საჭირო ლიტერატურით.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს აგრეთვე, რომ პარტიული ორგანიზაცია აქამდე არასაკმაოდ მუშაობს პროპაგანდისტთა გამოზრდის საქმეზე. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა აგიტატორთა მომზადების მხრივ. რამდენიმე ათეული აგიტატორი, რომელთა შორის არიან ამხანაგები მამულაშვილი, მესეკიანი, ჭანტურია, გაგნიძე, ბეროშვილი და სხვ. საავტომობილო მუშაობის საუკეთესო ნიშნებს იძლევიან.

ხალხის მტრები, — ამბობდა კრებაზე მემანქანე ამხ. კობახიძე, — ყოველთვის აფერხებდნენ სტახანოვური მოძრაობის განვითარებას ჩვენს საწარმოში. დეპოში ითვლებოდა 208 სტახანოველი. მაგრამ დამკვრელთა აღრიცხვა არ სწარმოებდა. ამჟამად დეპოში 479 სტახანოველია და 185 დამკვრელი. მათ შორის ბევრია კომუნისტი, კომკავშირელი და თანამგრძნობი.

მთელი საორთქლმავლო პარკის 61 პროცენტი ჩადგა საპატიო სტალინურ კოლონაში.

იზრდებიან ახალი ბოლშევიკური კადრები. სტახანოველები გვენეტაძე, სიმონიძე, ბეროზაშვილი, გაგნიძე კრიონოსური მუშაობის ნამდვილ ნიმუშს იძლევიან.

ახალ მზარდ კადრებს გაბედულად აწინაურებენ ხელმძღვანელ სამუშაოზე. სტახანოველი მიხაილოვი დაწინაურებულ იქნა ხელმძღვანელ სამუშაოზე, ამიერკავკასიის რკინიგზების პოლიტგაყოფილებაში, მემანქანე გორგაძე — ლენინის რაიონის პროკურორად, მემანქანე ბახტაძე — დეპოს უფროსის ძოადგილედ, მემანქანეები ა. წიქლაური და გელაძე — მემანქანე-ინსტრუქტორებად და სხვ.

მემანქანე კაპრანოვმა აღნიშნა, რომ მიუხედავად სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლისა, დეპოს მუშაობის საწარმოო მაჩვენებლები ბოლო დროს არადამაკმაყოფილებელია. ყოველივე ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ საორთქლმავლო ბრიგადების ერთ ნაწილში არ არის შრომის დისციპლინა, აგრეთვე იმით, რომ დეპოს ადმინისტრაცია საკმაო ხელმძღვანელობას ვერ უწევს და არ სწარმოებს სერიოზული ბრძოლა წუნის მკეთებლებთან.

წუნის მკეთებლებსა და შრომის დისციპლინის დამრღვევთა შორის ცალკეული კომუნისტებიც არიან.

გამოსული ამხანაგები ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ პარტკომი, აგრეთვე ადმინისტრაცია სისტემატურ მუშაობას არ ეწევიან სტახანოველებსა და დამკვრელებს შორის.

კამათის დასასრულს კრებაზე გამოვიდა პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ამხ. ს. მ. იშხანოვი, რომელმაც აღნიშნა მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი დეპოს პარტორგანიზაციის მუშაობაში და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი პარტიულ-მასობრივი პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პარტიული კომიტეტის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო.

ფარული (დახურული) კენჭისყრით პარტორგანიზაციამ აირჩია ახალი პარტკომი 9 კაცის შემადგენლობით. მათ შორის ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე პირველად არიან არჩეული სტახანოველები ამხ. კობრეიძე, ზინჩენკო და ბახტაძე.

კრებამ ფარული კენჭისყრით აირჩია 21 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 3 დელეგატი სათათბირო ხმით რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე გასაგზავნად.

ᘐ

238 კომუნისტმა განიხილა პარტკომის საანგარიშო მოხსენება. არ იყვნენ მხოლოდ ისინი, ვინც ამ დღეებში მუშაობდა ამიერკავკასიის რკინიგზის ხაზზე.

პარტკომის ახალი შემადგენლობის პირველ სხდომაზე ღია კენჭისყრით პარტკომის მდივნად არჩეულ იქნა ამხ. გ. ფ. ხომერიკი. მის მოადგილეებად არჩეული არიან ამხანაგები ი. ბახტაძე და ა. დავითაშვილი. (საქდსი).

ინსტრუქციის უხეში დამახინჯება

(სოხუმი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნები სოხუმში ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით მიმდინარეობს.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ პარტორგანიზაციაში საანგარიშო-საარჩევნო კრებების ჩატარებისას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქციის დამახინჯებას ვხვდებით. მაგალითად, სოხუმის თამბაქოს ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე პარტიის წევრობის კანდიდატებს უფლება არ მისცეს წამოეყენებინათ პარტიულ კომიტეტში ასარჩევად კანდიდატურები და აზრი გამოეთქვათ მათ შესახებ.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის პარტორგანიზაციაში პარტკომის მდივნის მოხსენება წინასწარ არ განხილულა პარტიული კომიტეტის სხდომაზე.

საყოსავრო ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაციაში პარტკომში ასარჩევად კანდიდატურები გულდასმით არ შეარჩიეს, რის გამო კენჭისყრა სამჯერ უშედეგოდ ჩატარდა.

საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა ამ ფაქტებიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს.

გ. მერკვილაძე

საგაზაფხულო თესვა

მამისეიშვილი და მენის ბრიგადა

(ტაღდათი, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

სომინდი 226 ჰექტარზე, სოია 100 ჰექტარზე, ლობიო 20 ჰექტარზე. მთელი მიწების წინასწარ მოხვნა, საუკეთესო თესლის დამზადება და შეწამვლა, თესვის მაღალი ხარისხი, ზედმიწევნით მოვლილი და კარგად გამოზამთრებული მუშა-საქონელი, მაღალხარისხოვნად შეკეთებული იარაღ-მანქანები — აი რა ამოცანები ჰქონდა დასახული ბაღდათის რაიონის სოფელ ვარციხის კოლმეურნეობა „წინსვლას“ მიმდინარე თესვის კამპანიაში.

„წინსვლა“ რაიონში ერთერთ მოწინავე კოლმეურნეობად ითვლება. ეს სახელი მას სამართლიანად აქვს დამსახურებული. იგი მთელი რაიონისათვის მაგალითის მიმცემია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მომზადებაში.

226 ჰექტარი ფართობი, რომელზედაც წელს გეგმით სომინდი უნდა დაითესოს, მძრალად მოხნული იყო. მემინდვრეობის 10 ბრიგადამ, რომელთა განკარგულებაშია 75 უღელი კარგად მოვლილი ხარ-კამეჩი, ერთი ტრაქტორი, გუთნები, კულტივატორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღი, უზრუნველჰყო მუშაობის ისე წარმართვა, რომ გეგმებს წარმატებით ასრულებს.

მემინდვრეობის ბრიგადებში ფართოდაა გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. მათ შორის გამოირჩევა მეექვსე ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. პოლიკარპე მამისეიშვილი. იგი უკვე სამი წელიწადია, რაც სათავეში უდგას ამ ბრიგადას და ენერგიული მუშაობით შეჯიბრებაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდის.

პოლიკარპეს ბრიგადაში 31 კოლმეურნეა. გასულ წელს ნათესის კარგად და დროზე დამუშავების შედეგად, გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერის ნაცვლად ბრიგადამ ჰექტარზე 14 ცენტნერი სიმინდი მოიყვანა. გასული წლის მოსავლიდან შრომადღეზე კოლმეურნეობა „წინსვლის“ წევრებმა 7,5 კილო სიმინდი მიიღეს. ეს მოხდა პოლიკარპე მამისეიშვილის ბრიგადის და მის მსგავსთა მონდომებისა და თავდადებული მუშაობის შედეგად.

პოლიკარპე მამისეიშვილის ბრიგადა მიმდინარე თესვის კამპანიაშიც მოწინავეა. ბრიგადა სავსებით მზად შეხვდა თესვის დაწყებას. 8 უღელი კარგად მოვლილი ხარ-კამეჩი, შეკეთებული გუთნები, კავები და სახნისები გამზადებული იყო სამუშაოს დაწყებამდე ერთი თვით ადრე.

პოლიკარპე მამისეიშვილი მინდვრიდან სოფელში როდი გამოიქცევა, მისი ბრიგადის რომელიმე გუთანი რომ დაზიანდეს ხვნის დროს, ან კავი გატყდეს, ან სახნისს პირი ჩამოსტყდეს. ბრიგადას ყოველთვის აქვს მარაგში ზედმეტი იარაღი გატეხილის შესაცვლელად. აქვე, მინდორში მოწყობილია პატარა სამშენდლო, და მჭედელი ამხ. იროდი მარჩიაშვილი მუდამ მზადაა შეასრულოს წუთობიდან გამოსული იარაღის მიმდინარე შეკეთება. ასეთი წინასწარ მოფიქრებული მუშაობით ბრიგადაში გაცდენები მინიმუმამდეა დაყვანილი. სწორედ ამიტომ ბრიგადას საკმაო დრო რჩება იმისათვის, რომ არა თუ ვადაზე ადრე შეასრულოს მოცემული გეგმა, არამედ სხვა ბრიგადებსაც დაეხმაროს.

პოლიკარპეს ბრიგადა წელსაც, როგორც წარსულში, ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში. შეჯიბრების პირობების შედგენის დროს ბრიგადამ ვალდებულება აიღო გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე მოიყვანოს 14 ცენტნერი სიმინდი. პოლიკარპე მამისეიშვილის ბრიგადა ორგანიზებულად გავიდა მინდვრად. ეჭვი არ არის, რომ საგაზაფხულო თესვას იგი სანიმუშოთ ჩაატარებს და უზრუნველჰყოფს ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებას.

ᘐ

სტალინური საკოლმეურნეო წესდების ურყევად გატარების საფუძველზე „წინსვლის“ წევრები ახლა შეძლებულად ცხოვრობენ. ისინი არ იშურებენ ძალღონეს, რომ კიდევ უკეთესად იმუშაონ და გაადიდონ კოლმეურნეობის დოვლათი. ამ შრომაში, ამ ბრძოლაში მათ ხელის შეწყობა ესაჭიროებათ.

— მოგვეხმარეთ ავლაგმოთ რაიონი, — აცხადებენ კოლმეურნეები, და ამ განცხადებაში სამართლიანი საყვედური მოისმის. იქ, სადაც ერთმანეთს ერთვის სამი თავაწყვეტილი მდინარე — რაიონი, ყვირილა და ხანის-წყალი, გაშლილია კოლმეურნეობა „წინსვლის“ და რაიონის სხვა კოლმეურნეობების სათესი ფართობები. საშინელი ადიდება იცის სამივე მდინარემ და შეშოუღიც (ასე უწოდებენ ამ ადგილს) მაშინ ზღვას დაემსგავსება ხოლმე, გადავა ნაპირებიდან და წალეკვით ემუქრება კოლმეურნეთა ნაშრომს.

— რამდენჯერ დავსვით საკითხი წყალთა მეურნეობის სამმართველოს ქუთაისის განყოფილებაში, რომ დაგვხმარებოდნენ მდინარის იმ ადგილის გასამაგრებლად, რომელიც მუდამ გადმოხეთქით გვემუქრება. მთავრობამ წარსულშიც გაიღო ამისათვის სათანადო ხარჯები, მაგრამ ქუთაისის განყოფილების მოუქნელი მუშაობით მდგომარეობა წელსაც უცვლელია, წყალდიდობის საშიშროება კვლავ რჩება — აცხადებენ კოლმეურნეები.

საგაზაფხულო თესვის დაგვიანება ამ მინდვრებზე წლევანდელ წვიმიან გაზაფხულთან ერთად ადიდებული მდინარის ბრალიცაა. აუცილებელი რიონი იმატებს და ნაყონი წყალი ნაადგის ქვედა ფენების საშუალებით გადის სახნავ ფართობში. ამ უზარმაზარ ფართობზე არა ერთი და ორი ასეული გუბეა გაჩენილი.

კოლმეურნეობა „წინსვლის“ და მის მეზობელ კოლმეურნეობების სამართლიანი მოთხოვნა დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. რაიონი უნდა აილაგმოს, კოლმეურნეობები მზად არიან ამ საქმეში ყოველმხრივ შეუწყონ ხელი წყალთა მეურნეობის სამმართველოს ადგილობრივ განყოფილებას.

ვ. ჯანაძე

საგაზაფხულო ხვნა-თესვა კოლმეურნეობებში

(მიწსახკომის 20 აპრილის ცნობებით)

რაიონები	ხვნა ჰექტარობით	ხვნის გეგმის შესრულება პროც.	საგაზაფხულო ჯვალის თესვის გეგმა ჰექტ.	საგაზაფხულო ჯვალის თესვის შესრულება პროც.	მათ შორის მარცვლეული კულტურების თესვის შესრულება პროცენტობით	მარცვლეული კულტურების თესვის შესრულება პროცენტობით
ახალქალაქი	19	0,1	9	—	9	—
ბოგდანოვკა	10	0,1	105	0,7	105	0,9
ახალციხე	816	14,6	866	13,6	800	17,4
ადიგენი	424	64	219	15,4	210	17,9
ასპინძა	209	11	557	15,9	525	19,2
ბაშური	4227	53	4094	19,3	3684	22,8
გორი	2248	36	2111	15,1	1811	17,5
ქასპი	3010	65,2	3286	39,1	2641	44,9
ბორჯომი	331	10,7	295	7,8	277	8,0
გურჯაანი	3133	103,5	6434	80	3799	84
სიღნაღი	4542	100	7067	91,8	7857	95,1
თელავი	4283	49,5	3004	25,8	2841	26,9
ყვარელი	1448	121,7	2594	77,5	1856	90,8
ლაგოდეხი	1420	98,2	3861	48,2	2242	86,2
თბილისი	4539	67,8	5489	50,8	4192	55,1
ყარაია	2028	101,8	1832	52,4	711	88,4
ბორჩალო	1932	108,6	1425	30,4	211	46,2
ლუქსემბურგი	1122	114,8	2248	55,4	1812	68,8
წალკა	867	10,8	2319	14,1	2294	17,1
დუშეთი	1080	27,	677	12,9	644	14,1
ახმეტა	3579	87,7	3758	45,7	2571	44,2
საგარეჯო	3402	67,2	6229	52,7	4168	50
ბაშკირეთი	1518	46,3	997	20,4	818	28,3
თიანეთი	686	19,6	896	8,1	892	9,
სამხრეთ-ოსეთის ა. ო.	1075	7,6	1367	6,8	1367	6,7
ქუთაისი	5277	51,8	3765	18,7	3202	18,6
სამტრედია	4837	61,5	191	1,9	160	1,8
წულუკიძე	1948	101,1	1948	18,5	1235	20,5
ვანი	1067	25,5	605	9,5	500	9,8
ბაღდათი	1989	50,1	818	6,5	318	8,0
ზესტაფონი	1430	28,1	860	11,8	860	11,7
ჩხარი	2950	80,8	2950	38,6	2950	40
ჭიათურა	2247	15,4	2111	10,2	2108	10,4
ორჯონიკიძე	1567	17,8	1566	17,3	1566	18,
ტყიბული	848	7,1	827	15,3	822	15,9
ონი	96	2,7	98	2	98	2,2
ამბროლაური	654	11	651	2,3	651	2,5
ცაგერი	4	0,1	120	2,8	118	2,8
ქვემო-სვანეთი	—	—	5	11,6	5	2,5
აბაშა	8144	69,5	151	1,1	151	1,3
ცხაკაია	3900	45,7	479	4,6	447	4,9
ზუგდიდი	5390	80,4	1058	10,9	1058	11,4
ზუგდიდი	4923	84,2	970	12,1	1067	13,9
ხობი	4231	74,1	78	1,2	78	1,2
წალენჯიხა	1217	94,3	425	19,2	425	20,9
ჩხოროწყუ	2526	61,8	185	3,3	185	3,5
მახარაძე	2456	48,5	85	1,5	84	1,6
ლანჩხუთი	3803	51,4	802	9,9	796	12,6
ჩოხატაური	844	19,9	340	7,6	320	8,2
ფოთი	158	49,4	—	—	—	—
აფხაზეთის ასსრ	25681	70.	541	1,2	215	0,6
აჭარის ასსრ.	919	18,2	116	2,2	46	1,2
სულ	186002	44,7	91814	18,7	67200	17,2

ცნობები ახალქალაქისა და ბოშეჩიეთის ტყეთნის შესახებ 15 აპრილისაა.

პარტიული ცხოვრება

ადამიანები, პარტიის წევრთა აღზრდა—აი რა უნდა იყოს პარტიული ანგარიშის ცენტრში

გაშლილი კრიტიკით

(ზოგი, საკ. კორესპონდენტისაგან)

ზობის რაიონისმასკომთან არსებული პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებას ორგანიზაციის ყველა წევრი ესწრებოდა.

პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა პარტკომის მდივანმა ამხ. ი. გაბელიამ. მომხსენებელი ორგანიზაციის მუშაობის მიღწევებზე შეჩერდა, ხოლო ნაკლოვანებების აღნიშვნას რატომღაც გვერდი აუარა.

კამათში გამოსულმა კომუნისტებმა გამოააშკარავეს, რომ პარტკომი სუსტად ხელმძღვანელობს თანამგრძნობებს. წელიწადი ისე გავიდა, რომ აქ არცერთი თანამგრძნობი არ მიუღიათ. ბოლშევიკურად არ არის სწორად დაკომპლექტებული, უმაღლესი განათლების მქონე კომუნისტებთან ირიცხებიან მცირემცოდნე კომუნისტები, რაც უარყოფით გავლენას ახდენს სკოლის ნორმალურ მეცადინეობაზე, პარტკომს მივიწყებული ჰქონდა ქალთა შორის მუშაობა. პარტიაში მიღების განხილვის შემდეგ პარტიაში არცერთი ქალი არ მიუღიათ. ეს მაშინ, როდესაც დაწესებულებაში ათეულობით მუშაობენ კომკავშირელი და უპარტიო ქალები. პარტკომის მდივანმა არ იცის, თუ რა მდგომარეობაა რაიონისმასკომთან ჩამოყალიბებულ საქ. სხრ უმაღლესი სახპის არჩევნების დებულების შემსწავლელ წრეებში.

ყურადღება არ ექცეოდა პარტიული დღის მომზადებას, ერთი ან ორი დღით ადრე 2-3 ადგილას გააკრავდნენ განცხადებას კრების მოწვევის შესახებ და ამით კმაყოფილდებოდნენ. ამის გამო სუსტი იყო კრებებზე კომუნისტთა აქტივობა.

გამოსულმა მოკამათეებმა მართებულად გააკრიტიკეს პარტკომის მუშაობა და დასახეს მთელი რიგი ღონისძიებანი შემდგომი მუშაობისათვის.

მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებებისა, კრებამ პარტკომის მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა.

ახალი პარტიული კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულ იქნა 5 ამხანაგი. პარტკომიტეტის მდივნად აირჩიეს ამხ. ი. გაბელიანი.

ს. ბზრავია

სამი პარტორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება

(ზუგდიდი, საქ. კორესპონდენტისაგან)

ზუგდიდის რაიონის პირველადს პარტორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კრებები 19 აპრილს დაიწყო. ამ დღეს არჩევნები ჩატარდა სამ პირველად პარტორგანიზაციაში —შინსახკომის ზუგდიდის რაიგანყოფილების, რაიაღმასკომისა და საქ. კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომთან არსებულ პირველად პარტორგანიზაციებში.

სამივე ორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრებებმა ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა.

კრებაზე კომუნისტები დიდ პოლიტიკურ აქტივობას იჩენდნენ. ისინი გაბედულად აკრიტიკებდნენ პარტიული კომიტეტის განვლილ მუშაობას, მიუთითებდნენ ხელმძღვანელებს მათს შეცდომებსა და ნაკლოვანებებზე, სახავდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

პარტიულ კრებებზე კომუნისტებმა გამოამჟღავნეს, რომ ჯერ კიდევ ადგილი აქვს პარტგანათლების საქმისადმი უყურადღებობას. შინსახკომის ზუგდიდის განყოფილების პარტორგანიზაციასთან არსებულ პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში მეცადინეობა ხშირად ფერხდება. რაიაღმასკომის პარტორგანიზაციაში პარტიული განათლება ჩაშლილია, იქ პროპაგანდისტი ამხ. კვარაცხელია მეცადინეობაზე ხშირად არ ცხადდება.

მოემზადებლად ტარდებოდა პარტიული კრებები რაიაღმასკომის პირველადს ორგანიზაციაში. კომუნისტებმა წინასწარ, არ იცოდნენ თუ რა საკითხები განიხილებოდა პარტიულ კრებაზე, ადგილი ჰქონდა ზოგადი ხასიათის დადგენილებათა გამოტანას და სხვ.

სამივე პარტორგანიზაციაში, სადაც საანგარიშო - საარჩევნო კრებები ჩატარდა, პარტიული კომიტეტების მუშაობა დამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

ახლად არჩეულმა პარტიულმა კომიტეტებმა უნდა გაითვალისწინონ თავიანთ მუშაობაში ყველა ის მითითებანი, რომლებიც წამოაყენეს კომუნისტებმა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე და იხელმძღვანელონ ამ მითითებებით თავიანთ პრაქტიკულ მუშაობაში.

სევ. ებრალიძე

აფხაზეთში დაიწყო ხელმძღვანელ პარტორგანოების არჩევნები

(სოხუმი ტელეგრაფით საქ. კორესპონდენტისაგან)

16 აპრილს ქალაქ სოხუმში დაიწყო ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნები. 16 და 17 აპრილს საანგარიშო-საარჩევნო კრებები ჩატარდა თამბაქოს ფაბრიკაში, პურის ქარხანაში, საკონსერვო ფაბრიკაში, ელსადგურში და ქალაქის ხაბჭოში. კრებები უდიდესი აქტივობით ჩატარდება. ფართოდაა გაშლილი ბოლშევიკური თვითკრიტიკა. თამბაქოს ფაბრიკის კომუნისტებმა პარტორგის განვლილი მუშაობა ჩასთვალეს არადამაკმაყოფილებლად. ზოგიერთ ორგანიზაციებში ამხანაგებს ინსტრუქციას. თამბაქოს ფაბრიკის პარტორგანიზაციაში პარტიის წევრობის კანდიდატებს არ მისცეს კანდიდატურების წამოყენებისა და წამოყენებული კანდიდატურების გარშემო აზრის გამოთქმის უფლება; აქ არასწორად გაიგეს ინსტრუქციის მერვე მუხლი.



თბილისის ტყავის ქარხნის № 1 საუკეთესო მუშები, მიღებული პარტიის წევრობის კანდიდატებად, ამხანაგები შარცხნიდან მარჯვნივ): სარადიანი, ალავანოვი, აკოფოვი და კარაპეტიანი კოლექტიურად სწავლობენ ლენინის შრომებს. ფოტო სერედასი („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

პარტიული მუშაობა არ იყო ყურადღების ცენტრში

გამომცემლობა „ტექნიკა და შრომის“ სტამბის პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო - საარჩევნო კრება დღის 4 საათისათვის იყო დანიშნული, მაგრამ 25 წუთის დაგვიანებით დაიწყო.

კრების თავმჯდომარის არჩევის შემდეგ, ერთერთ ამხანაგს რომ არ მოეგონებინა, კრების მდივნის არჩევა ავიწყდებოდათ. მომხსენებლისათვის რეგლამენტის დაწესების დროს ერთმა ამხანაგმა წინადადება შეიტანა — 20 წუთი მიეცეთ პარტკომის მდივანს საანგარიშო მოხსენებისათვის. მართალია, ეს წინადადება არ გასულა, მაგრამ თვით ეს ფაქტი მოწმობს, რომ ზოგიერთ კომუნისტს ვერ შეუგნია ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების უდიდესი მნიშვნელობა.

პარტკომის მდივნის ამხ. გ. ტაშჩიანის საანგარიშო მოხსენება უსისტემოდ იყო აგებული. მომხსენებელი ადვილად გადადიოდა ერთი საკითხიდან მეორეზე, ხშირად ერთ საკითხს რამდენჯერმე უბრუნდებოდა. ამიტომაა, რომ მოხსენებიდან ნათელი წარმოდგენა ვერ მიეღეთ „ტექნიკა და შრომის“ სტამბის კომუნისტების მუშაობაზე.

მომხსენებელი დიდხანს შეჩერდა საწარმოო საკითხებზე და მეტი წილი ნაკლოვანებები, რომლებიც ჯერ კიდევ აქვს სტამბას, მთლიანად მის დირექტორს ამხ. მ. ხეჩანოვს გადააბრალა. ამხ. ტაშჩიანმა სამართლიანად გააკრიტიკა სტამბის დირექტორი ამხ. მ. ხეჩანოვი, რომელიც ამავე დროს პარტკომის წევრი იყო, იმისთვის, რომ ის ზრელელად ეკიდებოდა პარტკომის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ხშირად უშედეგოდ სტოვებდა პარტიული ორგანიზაციის ამა თუ იმ მითითებას, მაგრამ მან არაფერი სთქვა იმაზე, რომ პარტკომმა ვერ შესძლო ზეგავლენა მოეხდინა სტამბის დირექტორზე, რომ ის პატივისცემით მოპყრობოდა პარტკომის იმ დადგენილებებს, რომელთა მიღებაშიც ის მონაწილეობდა.

ამის შესახებ ილაპარაკეს მოკამათეებმა. მათ გაბედულად გააკრიტიკეს წარმოების ხელმძღვანელი და პარტიული კომიტეტი, რომელიც თანმიმდევრობით ვერ იბრძოდა არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. გამოირკვა, რომ სტამბა მუშაობის დროს არ იკეტება და ხშირად საღამოობითაც ამა თუ იმ საამქროში თითო-ოროლა კაცი მუშაობს. სტამბის მცველს, რომელიც კარებში დგას, შიკრიკადაც იყენებენ. ამიტომ უცხო პირებს თავისუფლად შეუძლიათ სტამბაში შესვლა. პარტიულ ორგანიზაციას გახუხულავს ეს საკითხი და მოუცია დადგენილება სტამბის დაცვის გაძლიერების შესახებ, მაგრამ დირექციას ჯერ კიდევ არაფერი გაუკეთებია ამის შესასრულებლად.

— ჩვენი პარტიული კომიტეტი გამოიტანს ამა თუ იმ დადგენილებას, მის შესრულებას აღარ ამოწმებს, ამიტომ ხშირად ფრიად მნიშვნელოვანი დადგენილება ჭალალდზე რჩება,—განაცხადა ამხ. გ. ხეჩუმოვმა.

სტამბის ცალკეულ საამქროებში პარტორგები თურმე ცუდად მუშაობენ. პარტკომის მდივანმა კი თავის საანგარიშო მოხსენებაში კრიტიკაც არ დასძრა პარტორგების მუშაობაზე და პარტკომის დახმარებაზე მათთვის.

— საამწყობო საამქროში 5 კომუნისტია. პარტორგ ლ. ჭუბაბრიას არცერთხელ არ მოუწვევია მათი კრება. აქ ძალიან სუსტადაა დაყენებული პარტმასობრივი მუშაობა. ასეც იქნება, როცა პარტორგი საამქროში ვერ სარგებლობს სათანადო ავტორიტეტით.

კრებაზ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀՈՒՇԱՀԱՄԱԼԻՐ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԻՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԱԿԱԴԵՄԻԱՅԻ ՆԱԽԱԳԱՀ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԻՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԱԿԱԴԵՄԻԱՅԻ ՊՐԵԶԻԴԻՈՒՄ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԻՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԱԿԱԴԵՄԻԱՅԻ ՆԱԽԱԳԱՀ ԵՎ ՊՐԵԶԻԴԻՈՒՄ

**ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԻՏՈՒԹՅՈՒՆՆԵՐԻ ԱԿԱԴԵՄԻԱՅԻ